



საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი
EDUCATORS AND SCIENTISTS FREE TRADE UNION OF GEORGIA

№ 01-01-74

15.07 2015 წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს

ბატონ ალექსანდრე ჯეჯელავას

ბატონო ალექსანდრე,

ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია რამდენიმე საკითხის გადაწყვეტა, რომელთა მიმართ, პედაგოგიურ საზოგადოებაში არსებობს სამართლიანი კრიტიკული დამოკიდებულება და თავისი შინაარსით არ მოითხოვს ძირეულ ცვლილებებს ნორმატიულ აქტებში:

1. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N126/ნ ბრძანების მე-10 მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულია, რომ უცხო ენის მასწავლებელს მიეცემა სქემით განსაზღვრული შესაბამისი სტატუსის დანამატის სრული ოდენობა იმ შემთხვევაში, თუ სკოლაში შესაბამისი უცხო ენისათვის გათვალისწინებული საგაკვეთილო საათების რაოდენობა ნაკლებია სქემით განსაზღვრული შესაბამისი სტატუსის დანამატის სრული ოდენობის მისაღებად საჭირო საგაკვეთილო საათების რაოდენობაზე. შესაბამისად, უცხო ენის პედაგოგებს სრულად ეძლევათ სტატუსის დანამატი. აღნიშნული ნორმა დისკრიმინაციულია სხვა საგნის პედაგოგთა მიმართ. მიგვაჩნია, რომ ერთი საგნის პედაგოგების პროვილენგირებული მდგომარეობა სხვა საგნების პედაგოგთა მიმართ არამართო უარყოფითად მოქმედებს პედაგოგიურ საზოგადოებაზე, არამედ ქმნის ეჭვს სხვა საგნების აქტუალურობისა და თანაბარმნიშვნელოვნობასთან დაკავშირებით. ის ფაქტიც გასათვალისწინებელია, რომ ასეთი ანაზღაურების პრინციპი ცნობილია მოსწავლეებისათვის, რაც თავისთავად უარყოფითად იმოქმედებს სწავლების ხარისხზე.

აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით, მეტი ბუნდოვანება შემოაქვს იმავე მე-10 მუხლის მე-5 პუნქტს, რაც იწვევს გაურკვევლობას - ეკუთვნით თუ არა მასწავლებლებს სტატუსის დანამატის სრული ოდენობა იმ შემთხვევაში, როდესაც სკოლაში შესაბამის საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნის/საგნებისათვის გათვალისწინებული საგაკვეთილო საათების რაოდენობა ნაკლებია ამ დანამატის სრული ოდენობის მისაღებად საჭირო საგაკვეთილო საათების რაოდენობაზე.

სპმთპ გთხოვთ, ჩამოაყალიბოთ მე-10 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები იმგვარი რედაქციით, რომ შეღავათი თანაბრად გავრცელდეს ყველა პედაგოგზე და აღმოიფხვრას ყველა ორაზროვნება ამასთან დაკავშირებით.

2. განსხვავებული შეხედულებაა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სპმთპ-ს შორის ტერმინ - „შრომის ანაზღაურებასთან“ დაკავშირებით.

„დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 87/ნ ბრძანების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი განსაზღვრავს, რომ დასაქმებულისთვის გასაცემი დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების ოდენობის გაანგარიშების ბაზას წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული შრომის ანაზღაურება. მასწავლებელი მიეკუთვნება ამ კატეგორიას, თუმცა ბიულეტენის ანაზღაურებას ვერ იღებს ხელფასის სრული ოდენობის გათვალისწინებით.

განათლების სამინისტროს მიაჩნია, რომ შრომის ანაზღაურება განისაზღვრება მხოლოდ თანამდებობრივი სარგოთი და შესაბამისად, საჯარო სკოლასა და პედაგოგებს შორის გაფორმებულ ინდივიდუალურ შრომით ხელშეკრულებებში შრომის ანაზღაურებად მითითებულია მხოლოდ თანამდებობრივი სარგო, დანამატების გარეშე, რის გამოც, დროებითი შრომისუუნარობის ანაზღაურების გამოანგარიშებისას მხედველობაში აღარ მიიღება თანამდებობრივ სარგოზე დანამატები, რაც ხელფასის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულთან მიმართებაში, საინტერესოა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N126/ნ ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის მიხედვითაც, პედაგოგის სრული შრომის ანაზღაურება შედგება თანამდებობრივი სარგოსა და თანამდებობრივ სარგოზე გათვალისწინებული დანამატებისაგან. მიგვაჩნია, რომ შრომის ანაზღაურებასთან მიმართებაში, სამინისტრომ და საჯარო სკოლებმა უნდა იხელმძღვანელონ იგივე განმარტებით, შემდეგი გარემოებების გამო: მაგალითად, პედაგოგი, რომელიც პარალელურად არის კლასის ხელმძღვანელი, იღებს დანამატს (0.25 კოეფიციენტი) იმ სამუშაოსთან დაკავშირებით, რა სამუშაოსაც იგი ასრულებს კლასის ხელმძღვანელობით და ბუნებრივია, დროებითი შრომისუუნარობის ანაზღაურებაში უპირობოდ უნდა შევიდეს სადამრიგებლო დანამატიც. სხვადასხვა მოსაზრებებია, უნდა შევიდეს თუ არა ბიულეტენის ანაზღაურებაში საკვალიფიკაციო დანამატი.

შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროს დასაქმებულებისათვის დროებითი შრომისუუნარობის ანაზღაურება ხდება ყველა დანამატის გათვალისწინებით. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ასეთი პრინციპი გავრცელდეს პედაგოგებზეც, შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით: საჯარო სექტორში დასაქმებულთა შორის, პედაგოგები იღებენ ყველაზე დაბალ შრომის ანაზღაურებას. საბიუჯეტო სექტორში დასაქმებულთა საშუალო ხელფასი შეადგენს 850 ლარს, ხოლო პედაგოგის საბაზო ხელფასი 405 ლარია. პედაგოგთა დროებითი შრომისუუნარობის ანაზღაურება, ყველა დანამატის ჩათვლით, არ არის დაკავშირებული დიდ ფინანსურ დანახარჯებთან. ვფიქრობთ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შეუძლია

საკითხის უმტკივნეულოდ გადაწყვეტა, პედაგოგებისათვის კი მნიშვნელოვანია, მათი ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, ბიულეტენის ანაზღაურება მიიღონ სრული ხელფასიდან.

კატეგორიულად არ ვეთანხმებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განმარტებებს იმასთან დაკავშირებით, რომ წლის განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს მასწავლებლების დანამატები და გამომდინარე აქედან, შრომით ხელშეკრულებაში შეტანილია მხოლოდ თანამდებობრივი სარგო. შრომის კოდექსის მე-6 მუხლის მე-9 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს, რომ შრომის ანაზღაურების ოდენობა შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობაა.

აუცილებლად მიგვაჩნია, რომ საჯარო სკოლებს მიეცეს რეკომენდაცია, ინდივიდუალურ შრომით ხელშეკრულებაში შეიტანონ პედაგოგის ანაზღაურების სრული ოდენობა, განათლების მინისტრის 126/ნ ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად, რაც გადაჭრის პრობლემას და პედაგოგებისათვის დროებითი შრომისუუნარობის გამო ანაზღაურების გამოანგარიშება მოხდება მათი სრული ხელფასიდან.

3. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის „დისციპლინური წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია. სკოლის მიერ მასწავლებლისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრება იმ ქმედებისთვის რომელიც მან ჩაიდინა სასკოლო დროისგან თავისუფალ დროს ან სკოლის ტერიტორიის გარეთ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სკოლას აქვს დასაბუთებული ინტერესი.

მიუხედავად ჩვენი არაერთგზის მოთხოვნისა, განათლების სამინისტროს დღემდე არ განუსაზღვრავს ტერმინი - „დასაბუთებული ინტერესი“. აღნიშნული გარემოება ქმნის ბევრ პრობლემას ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევასთან მიმართებაში. შესაძლებელია ამ ბუნდოვანი მუხლის ამოქმედება სხვადასხვა ინტერპრეტაციით, დამსაქმებლის სუბიექტური ინტერესებიდან გამომდინარე. გადაუდებელ პირობად მიგვაჩნია, განისაზღვროს ტერმინის - „დასაბუთებული ინტერესის“ განმარტება.

4. მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის მე-19 მუხლის თანახმად:

„მასწავლებლის მიმართ დისციპლინური წარმოება შეიძლება დაიწყოს დისციპლინური გადაცდომის ჩადენიდან ან დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტის გამოვლენიდან არაუგვიანეს 3 წლისა.“

ვფიქრობთ, რომ 3 წელი ზედმეტად ბევრია. ჩვენი აზრით, ეს წინააღმდეგობაში მოდის ზოგადი განათლების შესახებ კანონის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილთან, რომლის თანახმადაც:

„სკოლის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები, დისციპლინური დევნა და სახდელი უნდა იყოს გონივრული, დასაბუთებული და თანაზომადი.“

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ბრძანების ამოქმედებამდე, საჯარო სკოლებში არსებული შინაგანაწესების უმრავლესობის მიხედვით, დასაქმებულების მიმართ დისციპლინური სახდელი

არ შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო გადაცდომის ჩადენის დღიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ.

სასურველი იქნებოდა, რომ მე-19 მუხლში ჩანაწერი - „არაუგვიანეს სამი წლისა“, შეიცვალოს არაუგვიანეს ერთი წლით.

5. თქვენს ყურადღებას გავამახვილებთ კიდევ ერთ პრობლემაზე, რაც ძალიან ბევრ მასწავლებელს აწუხებს. კერძოდ, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N126/ნ ბრძანების მე-13 მუხლში მოყვანილია მაგალითი, საიდანაც გამომდინარეობს აზრი, რომ 2000 წლის ჩათვლით მიღებული 4-წლიანი უმაღლესი პედაგოგიური განათლება, ხელფასის გამოანგარიშების მიზნებისთვის, უტოლდება მაგისტრის ხარისხს. თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, ასეთ მასწავლებლებს დანამატი ეძლევათ ბაკალავრის ხარისხის მიხედვით. სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში, ისინი (ისევე როგორც საჯარო სკოლები) იმყოფებიან გაუგებრობაში და ვერ ხვდებიან, როგორ უნდა მოხდეს ასეთი პედაგოგის ხელფასის გამოანგარიშება - ბაკალავრის, თუ მაგისტრის ხარისხის მიხედვით. ადრე მოქმედ რედაქციაში (#576 ბრძანების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტი), პირდაპირ ეწერა, რომ 2000 წლის ჩათვლით მიღებული 4-წლიანი უმაღლესი პედაგოგიური განათლება უტოლდებოდა მაგისტრის აკადემიურ ხარისხს, ხელფასის გამოანგარიშების მიზნებისთვის. გთხოვთ, შეიტანოთ შესაბამისი ცვლილებები #126 ბრძანებაში და აღმოფხვრათ ზემოაღნიშნული გაუგებრობა, პედაგოგების სასარგებლოდ.

ბატონო ალექსანდრე, თქვენთან შეხვედრის პათოსი და განხილულ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებები მაძლევს იმედს, რომ გამოიჩენთ ჩვეულ გულისხმიერებას ზემოხსენებული საკითხების გადაწყვეტისათვის.

პატივისცემით,

სპმთპ-ის პრეზიდენტი



მაია კობაძე